



საჯარო ინფორმაციის
ხელისაწვდომობა
საქართველოში

2021

კვლევაზე მუშაობდნენ:

გოგა თუშურაშვილი

ქეთი თოფურია

ნათა ახალაძე

კვლევის ხელმძღვანელები:

გიორგი კლდიაშვილი

ლევან ავალიშვილი



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.



გამოქვეყნების თარიღი:
მაისი, 2022

**საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობა
საქართველოში**

2021

შინაარსი

ძირითადი მიზნაბაზი	6
შესავალი	9
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2021 წელს	12
მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია	14
2021 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტატისტიკა	17
ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2021	19
საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები	22
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2021	24
ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2021	25
ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება	27
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დანახაულებათა კატეგორიების მიხედვით	32
ცენტრალური საჯარო დაწესებულებები	33
საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები	39
აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	42
ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები	44
სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები	46

სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეები	48
IDFI მედიააკადემიის წინააღმდეგ	49
IDFI მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ	51
დავა საქართველოს ეროვნულ არქივთან	52
დავა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ	53
სახალხო დამცველის რეკომენდაცია	54
საჯარო ინფორმაციის ხელისაწვდომობა 2010-2021 წლებში	55
2010-2021 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა	61
საჯარო დაწესებულების ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშების სიფუსტის მონიტორინგის შედეგები და მასზე განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი	63
დასკვნა	68



ქირითაღი
მიზნებები



2021 წელს 285 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 8,446 მოთხოვნიდან IDFI-მ პასუხი მიიღო 6,961 განცხადებაზე (82%);



2021 წელს საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 8,446 მოთხოვნიდან, IDFI-მ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 4,545 შემთხვევაში (54%);



2021 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (28%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა შიდა აუდიტის ანგარიშების მოწოდებაზე;



2021 წელს, კვლავ განსაკუთრებით პრობლემური იყო ისეთი მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება, რომლებიც პანდემიასთან იყო კავშირში და შესაბამისად, ამ ინფორმაციაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. მაგ, ჯანდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა კორონავირუსის ვაქცინების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების, სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის დროს კორონავირუსის დადასტურების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე და სხვ.



2021 წელს დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს ან უარი განაცხადეს ინფორმაციის მოწოდებაზე სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპებმა (80% უპასუხო, უარი); ხოლო, სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (84% სრულყოფილი) დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებათა ჯგუფში, რომელიც აერთიანებს: აჭარის ა/რ-ის მთავრობასა და სამინისტროებს, აგრეთვე აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას.



2021 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით 13-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა (მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, სახალხო დამცველის აპარატმა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა);



2021 წელს ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით გამცემი უწყებების რიცხვი 6-ით შემცირდა.



2021 წელს, IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად შეფასდა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო;



2021 წელს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს გარდა, კიდევ 14 დაწესებულება (მათ შორის 13 ადგილობრივი თვითმმართველობის მერია და საკრებულო) აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც IDFI-ის ყველა განცხადება უპასუხოდ დატოვა;



ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (95.93%) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ - (95.65%) ხოლო ყველაზე დაბალი მთავრობის ადმინისტრაციამ (30.44%) და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრომ (0%);



2021 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით ორი პროცენტით გაუმჯობესდა (82%);




2021 წელს, წინა წელთან შედარებით სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 2%-ით გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 4%-ით შემცირდა.



2021 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 25%-ით შემცირდა, ხოლო თვითმმართველი ერთეულების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 10%-ით გაიზარდა.



2021 წელს საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 5%-ით გაუმჯობესდა და 54% შეადგინა. მიუხედავად პროგრესისა, აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის გარდა, 2012 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია.



შესავალი

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) 2010 წლიდან ახორციელებს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს. IDFI-ის სისტემურმა მონიტორინგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გამოვლენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების დანერგვაში, საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში.

2021 წელი, წინა წლის მსგავსად, ქვეყანაში COVID 19 პანდემიით შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით, გამორჩეული იყო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობით. პანდემიის ფონზე, კვლავ მნიშვნელოვნად იყო მომატებული საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალე და არარაციონალური განკარგვის რისკები, რაც განპირობებული იყო, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებით, საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდით, სატენდერო პროცედურების გარეშე განხორციელებული შესყიდვებით და სხვა.

2021 წელს, ქვეყანაში მოქმედ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, წინა წლისგან განსხვავებით¹, არ გამოუწვევია საჯარო ინფორმაციის გაცემის სამართლებრივი შეზღუდვა. თუმცა, 2021 წელს კვლავ დღის წესრიგში რჩებოდა პანდემიასთან თანმდევი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებული სხვა გამოწვევები. მაგალითად, კვლავ აქტუალური იყო პანდემიის სპეციფიკით გამოწვეული სირთულეები, რაც დაკავშირებული იყო საჯარო მოსამსახურეების მიერ დისტანციური სამუშაო რეჟიმში მუშაობასთან, სხვადასხვა უწყებაში ვირუსის შესაძლო გავრცელებასთან, კონკრეტული უწყების პანდემიასთან ბრძოლის პროცესში უშუალო ჩართულობასთან და სხვა მსგავს ფაქტორებთან, რომელიც აბრკოლებდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო სამუშაო რესურსის მობილიზებას. ამასთან, არაკეთილსინდისიერი მოხელეებისთვის კორონავირუსის პანდემიით შექმნილი მდგომარეობა, შესაძლებელია გამხდარიყო საჯარო ინფორმაციის შეზღუდვის დამატებითი მოტივი.

2021 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის ირიბ სამართლებრივ შეზღუდვას წარმოადგენდა, პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღეების სიმრავლე, რაც თავის მხრივ განაპირობებდა მსგავსი დღეების განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების სამართლებრივ შეჩერებას.

¹ 2020 წლის 21 მარტიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომლის მოქმედების ვადით შეიზღუდა კონსტიტუციით გარანტირებული ცალკეული უფლებები. მათ შორის, შეჩერდა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები. ვადის შეჩერება გავრცელდა იმ შემთხვევებზეც, როდესაც საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე და არ იყო გასული ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი ვადა. საგანგებო მდგომარეობა 22 მაისამდე გაგრძელდა, შესაბამისად 2020 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2 თვით იყო შეჩერებული.


პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების მიუხედავად, IDFI-მ 2021 წელსაც აქტიურად გააგრძელა საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი. საჯარო დაწესებულებათა ყველაზე ღია თუ დახურულ უწყებად დასახელების მრავალწლიანი უწყვეტი პრაქტიკა, ხელს უწყობს, მსგავს არაორდინალურ სიტუაციებშიც ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და საჯარო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის წახალისებას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასება 2021 წლის მონაცემებით. ანგარიში ასევე, მოიცავს 2010-2021 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს და საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგებს.

რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა IDFI-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების 2011 წელს შემუშავებული მეთოდოლოგია და კრიტერიუმები².

2021 წელს მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საჯარო სექტორში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით. **კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა დაიწყო, 2017 წელს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფორმატში აღბული ვალდებულების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშების განხილვის პროცედურების და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას.** წინამდებარე ანგარიშში ასევე მიმოხილულია, აღნიშნული პროცესის ფარგლებში IDFI-ის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები და მისი როლი საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნაში.

² იხ. IDFI-ის ანგარიში - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2017 წელს - გვ3; გვ17.



საქარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობა
საქართველოში
2021 წელს

2021 წელს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეაფასა **285 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც IDFI-მ გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- 15 ცენტრალური საჯარო დაწესებულება (საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები/სახელმწიფო მინისტრის აპარატი);
- 9 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია;
- 74 სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ი და საქვეუწყებო დაწესებულება;
- 34 დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- 138 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, საკრებულო, თბილისის რაიონული გამგეობა);
- 9 გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- 3 სასამართლო სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო;
- 3 სახელმწიფო შპს, ააიპ

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2021 წელს IDFI-მ 285 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა 8,446 მოთხოვნა.

საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი მოთხოვნების უმრავლესობას წარმოადგენდა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს, რომლებიც ეხებოდა საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ადმინისტრაციული ხარჯების და სახელმწიფო ქონების განკარგვა, საკადრო უზრუნველყოფა და სხვა. 2021 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა სტანდარტული კითხვების შედგენისას, IDFI-ის მიერ ასევე გათვალისწინებულ იქნა კორონავირუსის პანდემიის ფარგლებში საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. შედეგად, სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს დაემატა პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესის მართვასთან, მათ შორის თანამშრომელთა ვაქცინაციის პროცესთან და ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოთხოვნა.

IDFI-ის მიერ განხორციელებული ცალკეული პროექტების და კვლევების ფარგლებში სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ასევე გაიგზავნა საჯარო დაწესებულებებში არსებულ კეთილსინდისიერების პოლიტიკასთან და მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2021 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დანახვებზე გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- i კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები;**
- i კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილ თანამშრომელთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში;**
- i შიდა აუდიტების ანგარიშები;**
- i სახელმწიფო ავტოპარკის შესახებ ინფორმაცია;**
- i საწვავის მოხმარების ხარჯები, ყოველთვიური ლიმიტები და გავლილი კილომეტრაჟი;**
- i ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;**
- i სარეკლამო (მათ შორის Facebook-ის) ხარჯები;**
- i სამივლინებო ხარჯები;**
- i წარმომადგენლობითი ხარჯები;**
- i მოქმედი საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები;**

- i** გათავისუფლებულ თანამშრომელთა სტატისტიკა;
- i** თანამდებობის პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოების და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია;
- i** საშტატო და ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ხარჯები;
- i** ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების პოზიციების და შრომის ანაზღაურების ოდენობების რეესტრი;
- i** მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციებზე დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების ხელშეკრულებების ასლები;
- i** ხელმძღვანელის მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებული პირების ბიოგრაფიული მონაცემები (CV)
- i** დამტკიცებული კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი, ეთიკის კოდექსი და მათი განხორციელების და აღსრულების პრაქტიკული ინსტრუმენტები;
- i** ეთიკის ნორმათა დარღვევის სტატისტიკა;
- i** მხილების შიდა არხები და ამ გზით შემოსული მამხილებელი განაცხადების სტატისტიკა;
- i** კეთილსინდისიერების პოლიტიკის და მხილების საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

აღგილობრივ თვითმმართველობებში დამატებით გაიგზავნა შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:

- i** მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი;
- i** მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებსა და შპს-ში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, საშტატო ნუსხა და შრომის ანაზღაურების ფონდი;
- i** მერის სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- i** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების ხარჯები და მისი შეფასების ინდიკატორები;
- i** უსასყიდლოდ გადაცემული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება;

2011 წლიდან, IDFI საჯარო დაწესებულებებში ყოველწლიურად აგზავნის ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან დაკავშირებით სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს, შედეგად მონიტორინგის ობიექტ სახელმწიფო უწყებებში წლების

განმავლობაში ჩამოყალიბდა IDFI-ის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკა. შესაბამისად, მათი მხრიდან არსებობს მზაობა მეტად სრულყოფილი პასუხები გასცენ მსგავს მოთხოვნებს ე.წ. არასტანდარტულ მოთხოვნებთან შედარებით.


არასტანდარტული მოთხოვნების ჯგუფს მიეკუთვნება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გაგზავნილი განცხადებები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ დაწესებულებების საქმიანობის სფეროს შეეხება, ასევე ის მოთხოვნები, რომლებსაც IDFI დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე აგზავნის შესაბამის საჯარო დაწესებულებებში. 2021 წელს, საზოგადოებრივი ინტერესი უმეტესწილად მიმართული იყო კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მართლმსაჯულების პროცესთან და სხვა. შესაბამისად, არასტანდარტული მოთხოვნების დიდი ნაწილი გაიგზავნა, მსგავს პროცესებზე პასუხისმგებელ უწყებებში. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: კორონავირუსით გარდაცვლილ პირთა სტატისტიკა, შესყიდული ვაქცინების, სწრაფი ტესტების და სხვა სამედიცინო ინვენტარის შესახებ ინფორმაცია, საკარანტინო მომსახურების ხარჯები, აცრილთა სტატისტიკა, პანდემიის ფარგლებში დაწესებული საგადასახადო შეღავათები, სოფლის მეურნეობის და სხვა ეკონომიკურ სექტორებში გაწეული დახმარებები, საგარეო კრედიტების და გრანტების ათვისება, ოპერაციული შტაბის საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, სასჯელალსრულების N12 დაწესებულებიდან N18 დაწესებულებაში სამკურნალოდ გადაყვანილ პატიმართა სტატისტიკა, მიხეილ სააკაშვილის სასჯელალსრულების N12 დაწესებულებიდან N18 დაწესებულებაში გადაყვანასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სხვა.

გარდა აღნიშნული საკითხებისა 2021 წელს ასევე გაიგზავნა მთელი რიგი არასტანდარტული მოთხოვნები, რომლის მაგალითებია: სპორტული ფედერაციების დაფინანსება, წიაღის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები, ინფორმაცია უცხო ქვეყნიდან განხორციელებული კიბერშეტევის თაობაზე, სახელმწიფო არქივების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა.

2021 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტატისტიკა

285 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 8,446 მოთხოვნიდან IDFI-მ სრულყოფილი პასუხი მიიღო - 3,719 განცხადებაზე, არასრულყოფილი - 932 მოთხოვნაზე, უარი - 83 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 1,485 მოთხოვნა, ხოლო 2,227 შემთხვევაში დაწესებულებებმა შეგვატყობინეს, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.


ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებსა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტულ მაჩვენებლებში არ არის ასახული საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც დაწესებულებები არ ფლობენ მოთხოვნილ ინფორმაციას ან არ განუხორციელებიათ კონკრეტული ქმედება. შესაბამისად, 285 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 6,219 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.



2021 წელს დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, წინა წლის მსგავსად პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა კვლავ უპასუხოდ დატოვეს სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპებმა; აღნიშნულ უწყებებს, 2021 წელს, სულ გაგზავნათ 10 მოთხოვნა, საიდანაც 8 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული. ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო რეგუ-

ლაციების გათვალისწინებით, აღნიშნული უწყებებიდან ინფორმაციის მიღების დაბალი მოლოდინები არსებობს, შესაბამისად წლის განმავლობაში მათთან გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა მცირეა. მაგალითად, IDFI მსგავს ორგანიზაციებში არ აგზავნის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს. იმ დაწესებულებათა ჯგუფიდან, სადაც 2021 წელს გაიგზავნა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებიც, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მერიებს და საკრებულოებს აქვს. აღნიშნულ უწყებებს, 2021 წელს, სულ გაეგზავნათ 2,739 მოთხოვნა, საიდანაც 939 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

2021 წელს სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებათა ჯგუფში, რომელიც აერთიანებს: აჭარის ა/რ-ის მთავრობასა და სამინისტროებს, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას. კერძოდ, მათთან გაგზავნილი 223 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 188 შემთხვევაში.



ყველაზე დახურული ინფორმაცია - 2021

2021 წელს საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (28%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა შიდა აუდიტების ანგარიშების მოწოდებაზე. ხშირ შემთხვევაში საჯარო დაწესებულებები შიდა აუდიტის ანგარიშების გასაჯაროებაზე უარის თქმის მიზეზად განმარტავდნენ, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგები წარმოადგენდა შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას და შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენდნენ საჯარო ინფორმაციას. ამასთან, მიუთითებდნენ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონზე, რომლის მიხედვით, შიდა აუდიტორი ვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. IDFI-ის შეფასებით, საჯარო დაწესებულებები უგულუბელყოფდნენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, მიეკუთვნება იმ ინფორმაციის კატეგორიას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

აქვე აღსანიშნავია IDFI-ის სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, 2017 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ IDFI-ის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნა რომ ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები. აღნიშნულ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც.


რიგით მეორე და მესამე ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო მრჩევლის, ექსპერტის და კონსულტანტის პოზიციებზე დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლების და ხელმძღვანელის მრჩევლის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად, საჯარო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში აპელირებდნენ პერსონალურ მონაცემებზე, რომელსაც შეიცავდნენ მოთხოვნილი დოკუმენტები. IDFI-ის შეფასებით, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებას ამ მოთხოვნის პასუხად როგორც მინიმუმ უნდა მოეწოდებინათ მრჩევლებთან, ექსპერტებთან და კონსულტანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, პერსონალური მონაცემების დაფარვით, დაშტრიხული სახით. ხოლო, ბიოგრაფიული მონაცემების (CV) გასაჯაროებაზე უარის თქმის საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო, მხოლოდ ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ მათი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისგან თავის შეკავება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე ცნობილია საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციაც, რომ-

ლის მიხედვით, მართალია მრჩევლის ბიოგრაფიული მონაცემები პერსონალური მონაცემების შემცველია, თუმცა საჯარო ინტერესის მატარებელია და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მისი გაცემის პოზიტიური ვალდებულება.

როგორც შიდა აუდიტების, ასევე ხელმძღვანელის მრჩევლებთან დაკავშირებული ინფორმაცია წლების განმავლობაში წარმოადგენს IDFI-ის მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს შორის, საჯარო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემურ მოთხოვნებს. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათი უპასუხოდ დატოვების პროცენტული მაჩვენებლები შესაძლებელია სრულფასოვნად არ ასახავდეს მსგავსი ინფორმაციის გაუმჭვირვალობის მასშტაბს. ვინაიდან, ის უწყებები, რომლებიც ახდენენ ამ მოთხოვნებზე რეაგირებას, ხშირ შემთხვევაში განმარტავენ, რომ მოთხოვნილ პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა ან/და ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიცია არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, IDFI-სთვის უცნობია მსგავსი უწყებები რამდენად გამოიჩინდნენ მზაობას, გაასაჯაროონ აღნიშნული ინფორმაცია არსებობის შემთხვევაში.


რიგით მეოთხე, ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ გავლილი კილომეტრაჟის და 100-კმ-ზე საშუალო წვის მაჩვენებლების შესახებ მონაცემების მოწოდებასთან. ეს მონაცემები, თავისი შინაარსით საჯაროობასთან დაკავშირებით სადაო ელემენტებს ნაკლებად შეიცავს. შესაბამისად, მათი უპასუხოდ დატოვების მაღალი მაჩვენებლები სავარაუდოდ განპირობებული იყო, ერთი მხრივ, საჯარო დაწესებულებებში აღრიცხვიანობის სისტემის არ არსებობითა და შესაბამისი განმარტების მოწოდებისგან თავის შეკავებით, ხოლო, მეორე მხრივ საწვავის არარაციონალური განკარგვის არსებული პრაქტიკის დაფარვის სურვილით.


2021 წელს საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოთხოვნა.





2021 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, ცალკეულმა უწყებებმა უპასუხოდ დატოვეს ან სამართლებრივად დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული. 2021 წელს, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს უპასუხოდ დატოვებული ისეთი მოთხოვნები, რომლების პანდემიასთან ბრძოლასთან იყო კავშირში და შესაბამისად, ამ ინფორმაციის მიმართ არსებობდა მაღალი საჯარო ინტერესი.


მაგალითად:


 **ჯანდაცვის სამინისტრომ** უარი განაცხადა კორონავირუსის ვაქცინების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების და ვაქცინის მწარმოებელ კომპანიებთან არსებული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე. სამინისტრომ ასევე უპასუხოდ დატოვა, სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის დროს კორონავირუსის დადასტურების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;

 **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ** უპასუხოდ დატოვა სპორტულ ფედერაციებთან კონკრეტული მიზნობრიობით გაფორმებული ხელშეკრულებების და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;

 **სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა** უპასუხოდ დატოვა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასჯელაღსრულების N12 დაწესებულებიდან N18 დაწესებულებაში გადაყვანასთან დაკავშირებული და მსგავსი შემთხვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნა;


 **იუსტიციის სამინისტრომ** უპასუხოდ დატოვა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

 **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ** უპასუხოდ დატოვა მათ უწყებაში შექმნილი საარქივო მასალების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

 **ნოტარიუსთა პალატამ** უპასუხოდ დატოვა ნოტარიუსების მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები


2021 წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 8,446 მოთხოვნიდან, IDFI-მ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო 4,545 შემთხვევაში. ამასთან, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, აღნიშნული ვადა დაირღვა 3,902 შემთხვევაში.



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება გულისხმობს ინფორმაციის გაცემას 3 დღის განმავლობაში, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 676. 1,848 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, 770 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი, თუმცა აღნიშნულის შემდეგ განცხადება დატოვეს უპასუხოდ ან ინფორმაცია ვადების დარღვევით გასცეს. 2,021 შემთხვევაში, არ იქნა მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია გაიცა 4-დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 3,132 შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი ვადები დაირღვა 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშე.



10 დღიანი ვადის მოთხოვნა



- მოითხოვია 10 დღე და დაიცვა
- მოითხოვია 10 დღე და დაარღვია
- ინფორმაცია გასცა დაუყოვნებლივ
- არ მოუთხოვია 10 დღიანი ვადა და დაიცვა
- არ მოუთხოვია 10 დღიანი ვადა და დაარღვია

2021 წელს, საჯარო დაწესებულებების მიერ კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დარღვევის მიზეზად ცალკეულ შემთხვევაში კვლავ სახელდებოდა, კორონავირუსის პანდემიით შექმნილი სიტუაცია. უმეტესწილად, მუნიციპალური ორგანოები, კვლავ აღნიშნავდნენ რომ თანამშრომელთა დისტანციურ შრომის პირობებზე გადაყვანის შედეგად სამსახურები ვერ ფუნქციონირებდნენ სრული დატვირთვით, რაც

აფერხებდა ინფორმაციის გაცემის პროცესს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე მსგავს განმარტებებს უფრო ხშირი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე 2021 წელს, რაც საბოლოოდ აისახა წინა წელთან შედარებით ინფორმაციის გაცემის გაუმჯობესებულ მაჩვენებელში. შესაბამისად, 2021 წელს, საჯარო დაწესებულებებმა გააუმჯობესეს დისტანციური მუშაობის პირობებში სათანადო პროცესის კოორდინაცია. ინფორმაციის გაცემისას ვადების დაცვის ტენდენციები დეტალურად მიმოხილულია ქვემოთ.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტება, საჯარო ინფორმაციის გაცემის შეფერხებასთან დაკავშირებით



**საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის
რეიტინგი - 2021**

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2021

IDFI-ის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2021 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით მხოლოდ 13-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა. 2021 წელს 100%-იანი მაჩვენებლის მქონე საჯარო დაწესებულების რიცხვი წინა წელთან შედარებით (19 უწყება) 6-ით შემცირდა.

2021 წელს 2 საჯარო დაწესებულებამ გასცა სრულყოფილი პასუხი IDFI-ის ყველა მოთხოვნას, თუმცა ინფორმაციის მოწოდებისას დაირღვა 10 დღიანი ვადა და პასუხის გაცემის ვადებზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით, მათმა ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 99% შეადგინა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	39	39	39	100%
2	სახალხო დამცველის აპარატი	27	27	27	100%
3	ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი	24	24	24	100%
4	აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	24	24	24	100%
5	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	23	23	23	100%
6	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	22	22	22	100%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
ყველაზე მაღალი მაჩვენებლები

N	საჯარო დაწესებულება	მითხოვნიების რაოდენობა	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
7	საჯარო სამსახურის ბიურო	20	20	20	100%
8	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	18	18	18	100%
9	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	18	18	18	100%
10	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	17	17	100%
11	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	17	17	17	100%
12	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	16	100%
13	მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
14	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	23	23	2	99.09%
15	სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	15	15	0	99%

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას. IDFI, ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულების გამოვლენისას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, ითვალისწინებს მთელ რიგ კომპლექსურ ფაქტორებს. მათ შორის, საჯარო დაწესებულების საქმიანობის მნიშვნელობას, ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის ხარისხს და სხვა.

2021 წელს IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ უწყებად შეფასდა **საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**.



2021 წელს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ყველაზე დახურულ უწყებად შეფასება ეფუძნება შემდეგ ძირითად გარემოებებს:


კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გაგზავნილ მოთხოვნაზე მიღებული პასუხების სტატისტიკა

2021 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ IDFI-ის მიერ გაგზავნილი 42-ვე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. შედეგად, სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 0% შეადგინა და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების რაოდენობის გათვალისწინებით საჯარო დაწესებულებათა რეიტინგის ბოლო ადგილს იკავებს.



კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის დამოკიდებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე

2021 წლის 16 მარტს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე გამოყოფისა და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, IDFI-ს სამინისტროდან მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე პასუხი აღარ მიუღია. თეა წულუკიანის მინისტრობის დროს იგივე პრობლემა არსებობდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიც, რომელიც წლების განმავლობაში IDFI-ის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიშებში ყველაზე დახურულ უწყებად სახელდება.



თეა წულუკიანის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრობის პერიოდი, ასევე უარყოფითად აისახა სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხზეც. მაგალითად, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით, გაუარესდა დაახლოებით 37%-ით და მხოლოდ 15.34% შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს 2021 წლის 16 მარტის შემდეგ პასუხი არცერთ მოთხოვნაზე აღარ გაუცია.

თეა წულუკიანის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ დამოკიდებულებაზე ასევე უარყოფითად მეტყველებს სამინისტროს ერთ-ერთი დაქვემდებარებული უწყებაში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები. კერძოდ, მიმდინარე

წლის 24 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რისი საფუძველიც გახდა თანამშრომლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა (მუზეუმის განმარტებით, საჯარო ინფორმაციის, კერძოდ კი ეროვნული მუზეუმის დირექტორატის ღია სხდომის ოქმების გაცემა მიზანშეუწონელი იყო, ვინაიდან ამან სამუზეუმო ექსპონატები და საგანძური აუნაზღაურებელი ზიანის რისკის წინაშე დააყენა). ამ დროისთვის ხელმისაწვდომი მასალების შესწავლით IDFI მიიჩნევს, რომ ეროვნული მუზეუმის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირ(ებ) ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ ქმედების მიზანი იყო კონკრეტული თანამშრომლების სანიმუშო დასჯა, სამინისტროს სტრუქტურაში მომუშავე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი სხვა პირების დაშინება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების უკანონოდ შეზღუდვის წახალისება.



კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფარული ინფორმაცია

2021 წელს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები უმეტესწილად სამინისტროს ფინანსების განკარგვასთან და მის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, რომელიც გათვალისწინებულია IDFI-ის სტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით. მსგავსი შინაარსის ინფორმაციის გამოქვეყნება ნაკლები დეტალიზებით, ასევე გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელ ნუსხაში. **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მისი განათლების სამინისტროსგან გამოყოფიდან დაახლოებით ერთი წლის გასვლის შემდეგ, საკუთარი ვებგვერდი არ გააჩნია. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი მთავრობის დადგენილებით პროაქტიულ გამჭვირვალობასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნებიც.**

IDFI-ის სტანდარტული წერილით გათვალისწინებული საკითხების გარდა, 2021 წელს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა სპორტული ფედერაციების მიერ სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში გაწეული სხვადასხვა ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნები. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს სპორტული ფედერაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს. შედეგად, მნიშვნელოვნად გართულებულია მსგავსი უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება და მათზე სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელება. სპორტული ფედერაციებიდან ინფორმაციის მიღების შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით, მათი მონიტორინგის გარკვეულ საშუალებას ზედამხედველი სამინისტროდან ინფორმაციის

გამოთხოვა წარმოადგენდა, რაც IDFI-ის მიერ წარმატებით ხორციელდებოდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე გამოყოფამდე და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნამდე. მაგალითად, 2019 წელს IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა „კორუფციის რისკები ქიდაობის ეროვნულ ფედერაციაში“, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას ეყრდნობოდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც საჯარო ფინანსური დარღვევები, ასევე მნიშვნელოვანი კორუფციული რისკები.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გაუმჭირვალე პოლიტიკის გათვალისწინებით, 2021 წლიდან კიდევ უფრო შესუსტდა სპორტული ფედერაციების ფინანსებისა და კორუფციის რისკების სამოქალაქო მონიტორინგის შესაძლებლობები.

2021 წელს კულტურისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გარდა, კიდევ 14 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც სრულად უგულებელყო კანონით დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა IDFI-ის ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. მათ შორისაა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო და 13 ადგილობრივი თვითმმართველობის მერია და საკრებულო.

2021 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული
საჯარო დაწესებულებები

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნა	უპასუხო	შედეგი
1	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
2	წალკის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
3	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
4	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%

2021 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული
სატარო დანახვებები

N	სატარო დანახვება	მოთხოვნა	უკასუნო	შიდავი
5	კასპის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
6	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
7	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
8	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია	30	30	0%
9	სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო	26	26	0%
10	მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	26	26	0%
11	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო	26	26	0%
12	ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	26	26	0%
13	შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო	26	26	0%
14	სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	26	26	0%



საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის
რეიტინგი დაწესებულებათა
კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2021 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის (პარლამენტის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (95.93%) და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (95.65%). ასევე, მაღალი მაჩვენებელი აჩვენა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 87.45% და საქართველოს პარლამენტის აპარატმა - 89.86%.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (30.57%), მთავრობის ადმინისტრაციის (30.44%) და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (0%) შემთხვევებში.**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი

N	საჯარო დაწესებულება	მოსოწმების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	28	26	2	0	0	14	95.93%
2	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	46	44	0	2	0	46	95.65%
3	საქართველოს პარლამენტი	35	30	3	2	0	30	89.86%
4	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია*	31	30	1	0	0	4	87.45%
5	განათლების და მეცნიერების სამინისტრო	54	34	17	0	3	49	78.69%


**ცენტრალური საჯარო დაწესებულებების
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი**

N	საჯარო დაწესებულება	მომსოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაგება	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
6	ფინანსთა სამინისტრო	38	23	10	2	3	0	72.8%
7	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	58	36	13	2	7	20	72.76%
8	საგარეო საქმეთა სამინისტრო*	33	26	3	0	4	0	66.52%
9	თავდაცვის სამინისტრო	35	18	10	2	5	18	65.37%
10	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	30	13	10	0	7	9	59.53%
11	იუსტიციის სამინისტრო*	39	14	21	1	3	0	58.44%
12	შინაგან საქმეთა სამინისტრო	50	9	32	1	8	11	49.4%
13	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	42	10	6	0	26	0	30.57%
14	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	59	17	2	0	40	15	30.44%
15	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	42	0	0	0	42	0	0%

* გარკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (30.44%) აქვს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას. 2016 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად ზღუდავს ფინანსების განკარგვასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობის ადმინისტრაცია 2014 წლის შემდეგ, ვებგვერდზე აღარ აქვეყნებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელ ფინანსურ ინფორმაციას. ამასთან, IDFI საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ აწარმოებს სასამართლო დავას, რომელიც ეხება 2020 წელს გამოცემული მთავრობის განკარგულებების შესახებ მოთხოვნის უპასუხოდ დატოვებას.


ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2021 წელს უპასუხოდ დატოვა, IDFI-ის სტანდარტული შინაარსის ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იყო სამინისტროს მიერ გაწეულ ადმინისტრაციულ ხარჯებთან, საკადრო პოლიტიკასთან და სხვა.



2021 წელს, საქართველოს 14 ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან 7-მა, წინა წელთან შედარებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი გააუმჯობესა. მათ შორის გამოირჩეულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო. ფინანსთა სამინისტრო წლების განმავლობაში გამოირჩევა ინფორმაციის არასტაბილური ხელმისაწვდომობით. მაგალითად, 2019 წელს ფინანსთა სამინისტროს

მაჩვენებელი 28%-დან გაიზარდა 58%-მდე, 2020 წელს შემცირდა 13%-მდე, ხოლო 2021 წელს გაიზარდა 73%-მდე. იუსტიციის სამინისტროს შეთხვევაში 2021 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის გაუმჯობესება მაღალი ალბათობით დაკავშირებულია უწყების მენეჯმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე გამოყოფის და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ აღნიშნულ უწყებას IDFI-ის მოთხოვნაზე პასუხი არ გაუცია. თავის მხრივ, თეა წულუკიანის იუსტიციის მინისტრის თანამდებობის დატოვება დადებითად აისახა იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელზე, რომელიც 2021 წელს 52.99%-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი წინა წლებში 4-6%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა რომ, 2021 წელს იუსტიციის სამინისტროს შეთხვევაში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა, მისი მაჩვენებელი კვლავ ვერ პასუხობს მაღალ სტანდარტს. 2021 წელს კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა იუსტიციის სამინისტროს მიერ ინფორმაციის 10 დღიანი ვადის დაცვით და მოთხოვნის შესაბამისად სრულყოფილი სახით გაცემა.

2021 წელს ასევე დაახლოებით 30%-ით გაუმჯობესდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი.



ცენტრალური საჯარო დაწესებულებების
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები

N	საჯარო დაწესებულება	2021	ცვლილება	2020	ცვლილება	2019	ცვლილება	2018	ცვლილება	2017
1	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	95,93%	7,25%	88,68%	8,28%	80,40%	-12,20%	92,59%	9,29%	83,30%
2	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	95,65%	-2,49%	98,14%	3,54%	94,60%	-5,20%	99,80%	14,60%	85,20%
3	საქართველოს პარლამენტი	89,86%	-2,25%	92,11%	-6,19%	98,30%	15,60%	82,69%	-11,31%	94%
4	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	87,45%	30,23%	57,22%	-26,18%	83,40%	12,90%	70,40%	-28,80%	99,20%
5	განათლების და მეცნიერების სამინისტრო	78,69%	21,28%	57,41%	-13,29%	70,70%	-18%	88,64%	-6,56%	95,20%
6	ფინანსთა სამინისტრო	72,80%	59,89%	12,91%	-45,69%	58,60%	30,60%	28,00%	15,90%	12,10%
7	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	72,76%	-1,27%	74,03%	-14,27%	88,30%	-1,07%	89,37%	-7,73%	97,10%
8	საგარეო საქმეთა სამინისტრო	66,52%	-25,81%	92,33%	-6,67%	99%	1,57%	97,43%	-1,57%	99%

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები

N	საჯარო დაწესებულება	2021	ცვლილება	2020	ცვლილება	2019	ცვლილება	2018	ცვლილება	2017
9	თავდაცვის სამინისტრო	65,37%	11,87%	53,50%	-26,20%	79,70%	10%	69,63%	-20,67%	90,30%
10	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	59,53%	-19,04%	78,57%	-13,13%	91,70%	-5,39%	97,06%	-0,64%	97,70%
11	იუსტიციის სამინისტრო	58,44%	52,99%	5,45%	0,85%	4,60%	0,70%	3,85%	-71,05%	74,90%
12	შინაგან საქმეთა სამინისტრო	49,40%	4,16%	45,24%	-30,26%	75,50%	3,21%	72,24%	-6,96%	79,20%
13	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	30,57%	-18,79%	49,36%	-35,84%	85,20%	29,90%	55,24%	36,40%	18,80%
14	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30,44%	-3,60%	34,04%	6,14%	27,90%	-23,20%	51,10%	+21,9%	29,20%
15	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	0%	-	-	-	-	-	-	-	-

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2021 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 6-მა უწყებამ აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 109 საჯარო დაწესებულება).

109 საჯარო დაწესებულებიდან, IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ მხოლოდ ერთმა უწყებამ (სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო) დატოვა. განვლილ წლებში აღნიშნული კატეგორიის საჯარო დაწესებულებებში საკმაოდ ძარბოდა ისეთი უწყებები რომლებსაც საანგარიშო პერიოდში IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ ჰქონდა დატოვებული, რაც უმეტესწილად იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული არაანგარიშვალდებული პოლიტიკით იყო განპირობებული. მაგალითად, 2020 წელს 12 მსგავსი უწყებიდან, რომლებმაც ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა, 8 უწყება დაქვემდებარებული იყო იუსტიციის სამინისტროს.

სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეაქტივობის საუკეთესო მაჩვენებლები

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	39	39	0	0	0	39	100%
2	სახალხო დამცველის აპარატი	27	27	0	0	0	27	100%

სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების
რეიტინგის საუკეთესო მაჩვენებლები

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
3	ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი	24	24	0	0	0	24	100%
4	საჯარო სამსახურის ბიურო	20	20	0	0	0	20	100%
5	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	18	18	0	0	0	18	100%
6	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	18	18	0	0	0	18	100%
7	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	17	17	0	0	0	17	100%
8	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	22	21	1	0	0	22	97.73%
9	ახალგაზრდობის სააგენტო	22	21	1	0	0	22	97.73%
10	განათლების საერთაშორისო ცენტრი	21	20	1	0	0	0	97.62%

ყველაზე არა ანგარიშვალდებული სსიპ,
საქვეყნეზო დო სსპო სოჭორო დონესებულები

N	სოჭორო დონესებულება	მოთხოვნების როდენობო	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უკოსუსო	10 დღიანი ვადის დოცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობო
1	ველური ბუნების ეროვნული საოგენტო	26	0	0	0	26	0	0%
2	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საოგენტო	29	4	1	0	24	0	15.34%
3	სოვოჭრო სამრეწველო პოლათო	15	0	7	0	8	7	23.33%
4	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	27	2	9	0	16	0	23.7%
5	ადსრულების ეროვნული ბიურო	27	5	5	0	17	0	27.41%
6	პროკურატურო	48	12	12	1	23	8	30.29%
7	სახელმწიფო უსოფრობების სამსახური	38	4	16	11	7	30	31.58%
8	ციფრული მმართველობის საოგენტო	30	9	3	0	18	0	34.6%
9	შსს აკადემიო	24	5	9	6	4	0	39%
10	შსს მომსახურების საოგენტო	27	2	20	0	5	0	43.63%

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამინისტროები წლების განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ და შეუფერხებლად გაცემდნენ საჯარო ინფორმაციას. 2021 წლის მონაცემებით, მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები 73%-დან 100%-მდე მერყეობს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საჯარო დაწესებულების ამ ჯგუფში ასევე გაწევრიანებულია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია (82.69%), აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი (70.28 %) და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო (65%).

აჭარის ა/რ-ის მთავრობის და სამინისტროების რეიტინგი

N	საჯარო დაწესებულება	მოსოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	24	24	0	0	0	24	100%
2	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	23	23	0	0	0	23	100%

აჭარის ა/რ-ის მთავრობის და სამინისტროების რეიტინგი

N	საჯარო დაწესებულება	მოქმედების რაოდენობა	სრულყოფილი	კრასრულყოფილი	უარი	უკასუსო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
3	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	22	22	0	0	0	22	100%
4	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	24	23	1	0	0	24	97.92%
5	აჭარის ა/რ-ის მთავრობა	24	20	3	0	1	23	89.58%
6	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	26	20	3	0	3	23	82.69%
7	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო*	23	22	0	0	1	9	73.04%
8	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	29	18	5	0	6	11	70.28%
9	აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	26	14	6	0	6	14	65%

* გარკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე, ერთი თვის დაგვიანებით.

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები

ადგილობრივ თვითმმართველობებში 2021 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, 128 საჯარო დაწესებულებიდან (მერია და საკრებულო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს მხოლოდ 3 მუნიციპალიტეტის საკრებულოს; აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველ ათეულში ვერცერთი მერია ვერ მოხვდა, შესაბამისად, არცერთი მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წელს IDFI-ის ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი არ გაუცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონიტორინგის ფარგლებში, 8 მუნიციპალიტეტის მერიამ და 5 მუნიციპალიტეტის საკრებულომ უპასუხოდ დატოვა IDFI-ის ყველა მოთხოვნა.

როგორც ზემოთ განხილული მონაცემები აჩვენებს, საკრებულოები მერიებთან შედარებით უფრო ხშირად გასცემენ ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილ პასუხს, ხოლო უფრო იშვიათად ტოვებენ ყველა მოთხოვნას უპასუხოდ. აღნიშნულის ერთ-ერთ განმარტებელ ფაქტორს შესაძლებელია წარმოადგენდეს ამ უწყებების საქმიანობის სპეციფიკა. მაგალითად, მუნიციპალურ ფინანსებს უმეტესწილად განკარგავს მერიის სამსახურები, შესაბამისად, მონიტორინგის პროცესი, მერიებისგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესში.


2021 წელს როგორც ქალაქ თბილისის მერიამ, ასევე საკრებულომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი გააუარესა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქ თბილისის მერია, რომლის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 19%-ით გაუარესდა და ბოლო 9 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი შედეგი 51.78% აჩვენა.

მერიების და საკრებულოების რეიტინგის კირველი ათეული

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	17	0	0	0	17	100%
2	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	16	0	0	0	16	100%
3	მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	0	0	0	10	100%
4	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	23	23	0	0	0	2	99.09%
5	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია	25	24	1	0	0	25	98%
6	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	25	24	1	0	0	25	98%
7	ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო	18	17	1	0	0	18	97.22%
8	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17	16	1	0	0	17	97.06%
9	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	16	15	1	0	0	16	96.88%
10	ამბროლაურის, თერჯოლის და საჩხერის მუნიციპალიტეტების საკრებულოები	14	13	1	0	0	14	96.43%



ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები



სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები

2021 წელს IDFI-ის ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილად და 10 დღიანი ვადის დაცვით არცერთ სახელმწიფო გუბერნატორის ადმინისტრაციას, არ უპასუხია. მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 99% - აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას, რომელმაც IDFI-ს ყველა მოთხოვნას, კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დარღვევით, თუმცა სრულყოფილად უპასუხა.

სხვა გუბერნატორების ადმინისტრაციების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 35%-დან 96%-მდე მერყეობს.

**სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების
ადმინისტრაციების რეიტინგი**

N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	15	15	0	0	0	0	99%
2	მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	11	1	0	0	12	95.83%
3	ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	13	11	2	0	0	13	92.31%
4	გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია	15	11	3	0	1	14	83.33%
5	შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	16	11	2	0	3	1	74.25%
6	კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	14	6	7	0	1	0	66.93%
7	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	12	0	0	6	12	66.67%
8	იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	17	9	4	0	4	2	64.06%
9	სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	18	10	1	1	6	0	35%



სტრატეგიული
სამართალწარმოების
საქმეები

2021 წელს IDFI-მ აქტიურად აგრძელებდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას ინფორმაციის თავისუფლების განვითარებისთვის. 4 სტრატეგიული სამართალწარმოების საქმიდან 1 საქმეზე IDFI-ის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის სააპელაციო სასამართლომ (გასაჩივრდა საკასაციო წესით), მეორეზე დავის საგნის არარსებობის საფუძვლით, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმისწარმოება შეწყვიტა, მესამე საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში წელიწადნახევარზე მეტია განხილვის პროცესშია, ხოლო მეოთხეზე უზენაესი სასამართლო მსჯელობს.

ასევე, 2021 წლის თებერვალში სახალხო დამცველმა გაიზიარა IDFI-ის პოზიცია და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გასცეს IDFI-ის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეებისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესახებ დეტალურად იხილეთ ქვემოთ.



IDFI მედიააკადემიის წინააღმდეგ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ სრულად გაიზიარა IDFI-ის სამართლებრივი პოზიცია და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიულ პირი (“მედიააკადემია”) სასამართლომ ფუნქციონალური გაგებით ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის საფუძველზე საჯარო ინფორმაციის გაცემა დაავალა.

2021 წლის 20 ოქტომბერის დასაბუთებული განჩინების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ხატია არდაზიშვილმა სრულად გაიზიარა IDFI-ის არგუმენტები და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონალური გაგება. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციური გაგება, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს. სწორედ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში განიხილებიან კერძო სამართლის იურიდიული პირები ადმინისტრაციულ ორგანოებად და ამ დროს არიან ვალდებულნი მიიღონ გადაწყვეტილებები და ან განახორციელონ ქმედებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი

მოთხოვნების გათვალისწინებით. სასამართლო დაეთანხმა IDFI-ის მსჯელობას, რომ პირის საჯარო დაწესებულებად მიჩნევისთვის დაფინანსების წყარო არ არის მთავარი კრიტერიუმი.

სასამართლოს პოზიციით, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინ არის სახეზე, როცა ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. ა(ა)იპ „მედიაკადემია“ კი სწორედ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის, რაც კერძო ორგანიზაციას საჯარო დაწესებულებად აქცევს არის მისი საქმიანობის საფუძველი და მიზანი. საჯარო მმართველობა არ დაიყვანება მხოლოდ ინდ. აქტის გამოცემის, რეალაქტის განხორციელების თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაზე, არამედ მისი შინაარსი უფრო ფართოა ვიდრე ადმინისტრაციული წარმოება.

პალატამ ხაზი გაუსვა **პროფესორი პაატა ტურავას სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას**, რომლის მიხედვითაც, არჩევანი კერძო სამართლებრივი ფორმის სასარგებლოდ არ უნდა გახდეს კერძო სამართალში გაქცევის და საჯარო სამართლებრივი ვალდებულებებისგან თავის არიდების საფუძველი.

სასამართლომ ყურადღება ასევე გაამახვილა **საქართველოს სახალხო დამცველის ამიკუსზე**, სადაც ნათქვამია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვაში სასამართლოს განსაკუთრებული როლი აკისრია, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების მარეგულირებელი ნორმები საკმაოდ მოძველებულია და არ არსებობს ეფექტური მანდატის მქონე საზედამხედველო ინსტიტუტი, რის გამო საჯარო დაწესებულებები სარგებლობენ არსებული საკანონმდებლო ვითარებით და ინფორმაციის გაცემას თავს არიდებენ.

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დავის ამგვარი გადაწყვეტა მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკის პოზიტიურად განვითარების თვალსაზრისით, რადგან ეს გახლავთ მკაფიო გზავნილი საჯარო დაწესებულებების მიმართ, რომ საკუთარ უფლებამოსილებათა კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე დელეგირების გზით ისინი საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას ვერ გაექცევიან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება „მედიაკადემიამ“ გაასაჩივრა და, ამ ეტაპზე, უზენაესი სასამართლო საჩივრის დასაშვებობაზე მსჯელობს.

IDFI მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ

2020 წლის 11 სექტემბერს IDFI-მ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას მიმართა განცხადებით და მოითხოვა 2020 წლის 20 წლის მარტიდან განცხადების შეტანის დღის ჩათვლით მიღებული მთავრობის განკარგულებების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა. საქართველოს მთავრობამ უპასუხოდ დატოვა მოთხოვნა. IDFI-მ ადმინისტრაციული წესით, კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა მთავრობის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის უმოქმედობა, თუმცა უშედეგოდ გავიდა საჩივრის განხილვის ერთთვიანი ვადაც (IDFI არ ყოფილა საჩივრის განხილვის პროცესში ჩართული და არ გვაქვს ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციამ განიხილა თუ არა საერთოდ წარდგენილი საჩივარი).

2020 წლის 18 დეკემბერს IDFI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლოს პირველ სხდომაზე, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განკარგულებებს გადმოგვცემდა, თუმცა ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე გარკვეული დრო იქნებოდა საჭირო. აღნიშნული საფუძვლით მოსამართლემ გადადო საქმის განხილვა, თუმცა მოპასუხემ ინფორმაცია არ გასცა. მომდევნო სხდომის დღეს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით გადაიდო განხილვა, ხოლო კიდევ მორიგი სხდომა, რომელზეც ვარაუდობდით საქმის არსებითად განხილვას, სასამართლომ დროის უქონლობის მიზეზით დაასრულა და განხილვა გადადო განუსაზღვრელი ვადით.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი განკარგულებები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ღია, საჯარო ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარება გაცემას. საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა იტვირთება მთავრობის ვებგვერდზე. მთავრობა არც ვებგვერდზე აქვეყნებს მოთხოვნილ სამართლებრივ აქტებს და არც საჯარო ინფორმაციის სახით გასცემს მათ დაინტერესებულ პირებზე, რაც, ამ კუთხით, სიტუაციის მკვეთრ გაუარესებაზე მიუთითებს და პრაქტიკულად გამორიცხავს მთავრობის მიერ განკარგულების სახით მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგს.

სასამართლოში სარჩელის შეტანიდან წელიწადი და ხუთი თვე გავიდა, თუმცა საქმე ჯერ ისევ პირველ ინსტანციაშია და არსებითი განხილვის სხდომა ჩანიშნული არ გახლავთ.

დავა საქართველოს ეროვნულ არქივთან

„საქართველოს ეროვნულ არქივთან“ დავის ფარგლებში საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს ეროვნული არქივის საკასაციო საჩივარს IDFI-ის წინააღმდეგ - კასატორი ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ეროვნულ არქივს საჯარო ინფორმაციის IDFI-ს სასარგებლოდ გაცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეროვნულ არქივს დაევალა იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელსაც ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) 2018 წლის 29 ივნისიდან ითხოვს. კერძოდ, თუ რამდენ განმცხადებელს ეთქვა უარი ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან დაშვებაზე და რა საფუძვლით. თავდაპირველად ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ეროვნულ არქივს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკისრა.

მეორე ინსტანციაში დავის განხილვისას IDFI მიუთითებდა, რომ ეროვნული არქივის საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ სააპელაციო საჩივრის საფუძვლებს. კერძოდ, სააპელაციო საჩივრის იმ ნაწილში, სადაც აპელანტის მიერ მითითებული უნდა ყოფილიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები აპელანტი არ აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, ეროვნული არქივი არ განმარტავდა თუ რა ნაწილში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელი.

აპელანტის პოზიციით, ინფორმაციის გაცემა იყო შეუძლებელი, რამდენადაც მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო ეროვნულ არქივში შექმნილი, დამუშავებული ან/და დაცული. ამასთან ის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეროვნულ არქივში მცირე რაოდენობით, თუმცა ინახებოდა ადმინისტრაციული აქტები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებლებს წერილობითი სახით ეთქვათ უარი ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებთან დაშვებაზე.

პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების მნიშვნელობაზე და განმარტა მისი ფარგლები. ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციის შებლუდვის სამართლებრივ საფუძვლებზე და დაადგინა, რომ IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, თავისი შინაარსით, არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოების, კომერციული და პირის პერსონალური მონაცემების შესახებ რაიმე სახის მონაცემებს. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა საჯარო ხასი-

ათის ინფორმაციას, რომლის გაცემის ვალდებულებაც ეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს. გადაწყვეტილების მიხედვით: „...აპელირება იმაზე, რომ მასთან დაცული ინფორმაცია მოთხოვნილ შემთხვევებთან დაკავშირებით იმდენად მცირეა, რომ ის ვერ ასახავს ეროვნული არქივის მიერ დაინტერესებული პირებისთვის ყოველდღიურად გაწეული კონსულტაციის/კომუნიკაციის პროცესს, არ გამოირიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გასცეს ის ინფორმაცია, რაც მას გააჩნია კანონი დადგენილი წესით“.



დავა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

2021 წლის 5 მარტს IDFI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას კომენდანტის საათის გაუქმების მოთხოვნით მიმართა. IDFI მიიჩნევდა, რომ საქართველოს მთავრობა არაპროპორციულად ზღუდავდა მიმოსვლის თავისუფლებას.

სარჩელის შეტანის დროისათვის, ნორმატიულ დონეზე საქართველოში ყველა სხვა შეზღუდვა შემსუბუქდა. სრულად აღსდგა ტრანსპორტი, სარესტორნო ბიზნესს მიეცა დახურულ სივრცეში საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, შესაძლებელი გახდა ტრენინგების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაგეგმვა ჩატარება და ა.შ. ფაქტობრივად, ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც ცვლილება არ შეეხო იყო კომენდანტის საათი, რომელიც პირობადადებული გახლდათ ამ ღონისძიების გამოყენების მკაცრი საჭიროებით („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45³ მუხლის მე-3 პუნქტი საქართველოს მთავრობას ავალდებულებდა მიმოსვლის თავისუფლება არ შეეზღუდა იმაზე მეტად, ვიდრე ამას პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვდა).

მოგვიანებით, საქართველოს მთავრობის მიერ კომენდანტის საათის გაუქმების ფონზე, დავის საგნის არარსებობის საფუძველით, სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია

IDFI-ის განცხადების საფუძველზე, სახალხო დამცველმა 2021 წლის 11 თებერვალს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკომენდაციით მიმართა.

2020 წლის 8 ივლისს IDFI-მ წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მოითხოვა 2018-2020 წლებში მინისტრის და მინისტრის მოადგილეების მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებული პირების ბიოგრაფიული მონაცემები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები. სამინისტრომ უარია განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე.

საკითხის შესწავლის მიზნით, IDFI-მ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ IDFI-ის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაცია მართალია პერსონალური მონაცემების შემცველია, თუმცა საჯარო ინტერესის მატარებელია და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა მისი გაცემის პოზიტიური ვალდებულება.

ომბუდსმენმა ყურადღება ასევე გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს არ დაუსაბუთებია, რა აღმატებული მიზნის მისაღწევად არ გასცა საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი ინფორმაცია, და რატომ არ შეიძლებოდა კონკრეტულ პირთა უფლებების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

საქართველოს ომბუდსმენის რეკომენდაციის მიუხედავად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მინისტრის და მინისტრის მოადგილეების მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებული პირების ბიოგრაფიული მონაცემები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები IDFI-ს არ მიაწოდა.




**საქარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობა
2010-2021 წლებში**


2010-2021 წლებში, IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 12 წლის დინამიკა, საჯარო დაწესებულებების ჯგუფების მიხედვით.

2010-2021 წლებში, IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის **72,667** განცხადება, რომელთაგან პასუხი მიღებულია **60,106** მოთხოვნაზე.

IDFI-ის მიერ 12 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. 2010-2021 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს იყო**. ასევე, მაღალი იყო ეს მაჩვენებელი 2017 წელს 88%, რაც 2018 წლიდან 2020 წლამდე ეტაპობრივად 80%-მდე შემცირდა. 2021 წელს, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 2%-ით გაუმჯობესდა, თუმცა ეს მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მაინც ერთ-ერთი ყველაზე დაბალია.



წელი	საჯარო დაწესებულება	გაგზავნილი მოთხოვნები	მიღებული პასუხები
2021	285	8446	6961
2020	285	6258	5 000
2019	284	6 240	5 180
2018	282	6 413	5 454
2017	289	7 728	6 782
2016	294	7 430	6 291
2015	307	8 297	7 122
2014	308	7 878	6 481
2013	224	5 625	5 049
2012	229	5 072	3 449
2011	154	2 740	2 099
2010	21	540	238




2010-2021 წლებში საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (79%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (12%) 2013 წელს იყო. 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 2%-ით გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 4%-ით შემცირდა. ასევე 2%-ით გაიზარდა არასრულყოფილი პასუხების წილი.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.

2021 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მცირედით გაუმჯობესებული მაჩვენებელი, ერთი მხრივ, შესაძლებელია შეფასდეს როგორც პანდემიის შედეგად საჯარო დაწესებულებებში შექმნილი არაორდინალური სიტუაციის გავლენის შესუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული უწყებებში (მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სისტემა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პოზიტიური ცვლილებებით.



საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხები




2010-2021 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენციებია საჯარო დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით. მათ შორის, 2021 წლის საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება ერთგვაროვნად არ ასახულა საჯარო დაწესებულებათა ყველა ჯგუფზე. **მაგალითად, 2021 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 25%-ით შემცირდა, ხოლო თვითმმართველი ერთეულების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 10%-ით გაიზარდა.**

2010-2021 წლებში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში სამინისტროებიდან მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი წილი (88%) 2013 წელს იყო. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი 74%-დან 83%-მდე მერყეობდა. 2013 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი (58) მაჩვენებელი 2021 წელზე მოდის. 2013 წლამდე, სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა.




სამინისტროებიდან (სახელმწიფო მინისტრის აპარატის და აჭარის ა/რ-ის სამინისტროების ჩათვლით) მიღებული პასუხები



2011-2021 წლებში სამინისტროების მსგავსად, მათ დაქვემდებარებულ უწყებებში (სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები) სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (5%) 2013 წელს იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **2021 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების წილი 25%-ით შემცირდა, ხოლო სრულყოფილი პასუხების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით, 14%-ით გაიზარდა. ასევე, 10%-ით გაიზარდა არასრულყოფილად გაცემული პასუხების წილი.**




სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებიდან მიღებული პასუხები



2011-2021 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სრულყოფილად მიღებული პასუხების ყველაზე მაღალი (75%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა - (13%). 2021 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 55% ყველაზე დაბალია, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი 35% ყველაზე მაღალია 2012 წლის შემდეგ. 2021 წელს IDFI-სთვის წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, ცალკეული მუნიციპალური ორგანოებში თანამშრომელთა დისტანციურ სამუშაო პირობებში გადაყვანა კვლავ მნიშვნელოვან შეფერხებებს იწვევდა დაწესებულებების ეფექტურ საქმიანობაზე. ამასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუარესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასევე შესაძლებელია განხილულ იქნას ის ფაქტი, რომ 2021 წელს IDFI-ის მიერ მოთხოვნების უდიდესი ნაწილი მუნიციპალიტეტებში გაიგზავნა ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში. პოლიტიკური ცვლილებების და საარჩევნო პროცესის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე გავლენა, ცალსახად მუნიციპალური ორგანოების ინსტიტუციური მდგრადობის პრობლემებზე მიუთითებს.



თვითმმართველი ერთეულებიდან მიღებული კასუსები




2010-2021 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია განცხადების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს 10 დღიანი ვადა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის დიდი მოცულობის, საჭიროებს შეგროვებას და დამუშავებას ან აუცილებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან კონსულტაცია. 10 დღიანი ვადის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2021 წლებში ხშირ შემთხვევაში

მოთხოვნილი იყო მოცულობითი ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის ვადის დაცვად მივიჩნევდით ინფორმაციის გაცემას ათი სამუშაო დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, გვატყობინებდა თუ არა საჯარო დაწესებულება 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

2021 წელს, წინა წელთან შედარებით, საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 5%-ით გაუმჯობესდა და 54% შეადგინა. მიუხედავად პროგრესისა, აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის გარდა, 2012 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია. ამ ტენდენციას, 2020 წლიდან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, კორონავირუსის პანდემიის პირობებში უწყებებში სამუშაო პროცესის გართულებამ (დისტანციურ სამუშაო პროცესზე გადასვლა, პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულობა და სხვ.). 2021 წელს მსგავსი პრობლემები კვლავ შენარჩუნდა, განსაკუთრებით მუნიციპალურ ორგანოებში.





საჯარო დაწესებულებების ე.წ.
10 დეკემბრის ანგარიშების
სიზუსტის მონიტორინგის შედეგები
და მასზე განხორციელებული
საკარლამენტო კონტროლი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე საკანონმდებლო მაცნეში გამოაქვეყნოს, მიმდინარე წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

2017 წლამდე კანონმდებლობა არ ადგენდა 10 დეკემბრის ანგარიშის განხილვის პროცედურებს, რის გამოც წლების განმავლობაში ამ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და არც საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ ახდენდა მათ შესწავლას ან მონიტორინგს.

2017 წელს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფორმატში საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI) რეკომენდაცია დაენერგა საჯარო ინფორმაციის ანგარიშების მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით უნდა შექმნილიყო საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.







საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლით განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ვალდებულება, რომ საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე შეიმუშაოს და პარლამენტის ბიუროს წარუდგინოს ერთიანი დასკვნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი შეისწავლიდა საჯარო დაწესებულებების „10 დეკემბრის ანგარიშების“ და მათში ასახული ინფორმაციის შესახებ პარლამენტში შემოსულ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებებსაც.


2021 წლის 29 ივნისს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა დაიწყო „10 დეკემბრის ანგარიშების“ განხილვის პროცედურა. ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო გადაემოწმებინა საჯარო დაწესებულებების ანგარიშებში მითითებული ინფორმაციის სისწორე, და ხარვეზის და/ან არასრული ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რეაგირებისთვის მიემართა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისთვის.


კომიტეტისთვის, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, 2021 წელს IDFI-მ შეისწავლა საჯარო დაწესებულებების მიერ 2020 წელს წარდგენილი 10 დეკემბრის ანგარიშები.


აღნიშნულ კვლევაში IDFI-მ მიმოიხილა საჯარო დაწესებულებების 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა, IDFI-ს მიერ ამ პერიოდში გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პრაქტიკასთან. კვლევის ობიექტ საჯარო დაწესებულებებად შეირჩა ისეთი უწყებები, რომლებიც IDFI-ს შეფასებით 2020 წელს გამოირჩეოდნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებლებით. კერძოდ, კვლევა განხორციელდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2020 წლის რეიტინგის მიხედვით, 50%-ზე დაბალი შეფასების მქონე 60 საჯარო დაწესებულების მაგალითზე. კვლევის შედეგად მნიშვნელოვანი მიგნებები გამოიკვეთა. კერძოდ:


-  კვლევის ობიექტი 60 საჯარო დაწესებულებიდან, 18-ის 2020 წლის ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ იყო ხელმისაწვდომი;
-  5 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ჰქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება, 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული ქონდათ, რომ ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილეს.
-  11 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე, ჰქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 9 უწყებას პასუხი დღემდე არ მოუწოდებია), ანგარიშში ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მინიჭებული ჰქონდა დაკმაყოფილებული ან მიმდინარე სტატუსი;
-  10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა მხოლოდ 16 საჯარო დაწესებულებას;
-  3 საჯარო დაწესებულებას არ ჰქონდა მითითებული, თუ რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას ან ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი;
-  17 საჯარო დაწესებულებას ანგარიშში საერთოდ არ ჰქონდა ასახული საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.


თემატური ჯგუფისთვის IDFI-ის მიერ გაგზავნილ დოკუმენტში, ასევე წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები, რომლებიც IDFI-ს შეფასებით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საჯარო ინფორმაციის ანგარიშების ეფექტიანობის ზრდას. კერძოდ, IDFI-მ კომიტეტს მიმართა შემდეგი რეკომენდაციებით:

 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ „10 დეკემბრის ანგარიშების“ განხილვის პროცესში, უზრუნველყოფილ იქნას ყველა საჯარო დაწესებულების 10 დეკემბრის ანგარიშის გაცნობის შესაძლებლობა;

 10 დეკემბრის ანგარიშებს დანართის სახით ახლდეს საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების და გაცემული პასუხების რეესტრი. სადაც თითოეული წერილის მიხედვით ასახული იქნება: მიღების თარიღი, მოთხოვნის მოკლე შინაარსი, პასუხის გაცემის თარიღი და უწყების შეფასებით წერილის დაკმაყოფილების სტატუსი; უარის შემთხვევაში შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომელსაც ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას და ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი;


 საჯარო დაწესებულებებმა ერთიანი მეთოდოლოგიით უზრუნველყონ კონკრეტული წერილზე დამდგარი შედეგის სტატუსის განსაზღვრა. მაგალითად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილს მიენიჭოს მიმდინარე სტატუსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ 10 დეკემბრის მდგომარეობით არ არის გასული პასუხის გაცემისთვის განსაზღვრული 10 დღიანი ვადა, წერილი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საჯარო დაწესებულების მიერ კონკრეტული წერილის პასუხად გაცემულია ამომწურავი პასუხი;

 10 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული ვადაგადაცილებული მიმდინარე სტატუსის მქონე წერილის შემთხვევაში, აღიწეროს მისი ვადის დარღვევის მიზეზი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მსგავს წერილებზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დატოვოს უპასუხოდ, რაც სამართლებრივად ნიშნავს უარს, აისახოს შესაბამის სტატისტიკაში;

 საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში შეუსაბამო მონაცემების აღმოჩენის შემთხვევაში, განხილულ იქნას ანგარიშში ასახული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

პარლამენტის თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია IDFI-ის მიერ გაგზავნილი კვლევის თითოეული მიგნების და რეკომენდაციის განხილვას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ IDFI-ის მიერ 60 დაწესებულების მაგალითზე გამოვლენილი ნაკლოვანებები საკმარისი საფუძველია, საიმისოდ რომ დასკვნები განზოგადდეს და იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებზე წარიმართოს საუბარი, რომელსაც ესაჭიროება გარკვეული შეფასება და მუშაობა მათ პრევენციამდე და აღმოფხვრამდე. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ თემატური ჯგუფის მიერ დეტალურად შესწავლილი იქნა IDFI-ის კვლევაში მოყვანილი საკითხები, რომელთაგან დიდი ნაწილი დაემთხვა იმ ნაკლოვანებებს, რომელთა იდენტიფიცირებაც გახდა მიზეზიც და საფუძველიც საკუთრივ თემატური მოკვლევის დაწყებისთვის.

თემატური მოკვლევის ფარგლებში წარმოდგენილია შემაჯამებელი რეკომენდაციები რომელიც ითვალისწინებს როგორც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე კონკრეტული საჯარო დაწესებულებების მიერ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. თემატური ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში სრულად არის გათვალისწინებული IDFI-ის რეკომენდაციებიც.



დასკვა

2021 წელს განხორციელებული IDFI-ის მონიტორინგის შედეგების თანახმად, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით 2%-ით გაუმჯობესდა. მცირედით გაუმჯობესებული მაჩვენებელი, ერთი მხრივ, შესაძლებელია შეფასდეს როგორც პანდემიის შედეგად საჯარო დაწესებულებებში შექმნილი არაორდინალური სიტუაციის გავლენის შესუსტება, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეული უწყებების (მაგალითად იუსტიციის სამინისტროს მთლიანი სისტემა) წლების განმავლობაში დამკვიდრებული დაბალი ანგარიშვალდებულების პრაქტიკის გაუმჯობესებით, რაც დადებითად აისახა საქართველოს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელზე.

2021 წელს გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების მაჩვენებლით (82%) კვლავ, შენარჩუნებულია 2014 წლის შემდეგ დამკვიდრებული 80%-იანი კრიტიკული ზღვარი, რაც უმეტესწილად, ცალკეული საჯარო დაწესებულებების მაღალი ანგარიშვალდებულებით არის განპირობებული. კერძოდ, ისეთი, საჯარო დაწესებულებები როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა წლების განმავლობაში (მათ შორის კრიზისული მდგომარეობის დროს) ინარჩუნებდნენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთესო მაჩვენებელს და ჯეროვნად ასრულებენ საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

2021 წლის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციები აჩენს კითხვებს ზოგიერთ უწყებაში ანგარიშვალდებულების მექანიზმების ინსტიტუციურ მდგრადობასთან დაკავშირებით. მაგალითად, მინისტრ თეა წულუკიანის ცვლილების შემდგომ, იუსტიციის სამინისტრომ 2021 წელს გასცა ისეთი საჯარო ინფორმაცია რომელიც, მისი ხელმძღვანელობის პირობებში დახურული იყო დაინტერესებული პირებისათვის. ამასთან, თეა წულუკიანის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, სამინისტრომ აღარ გასცა ისეთი ინფორმაცია, რომელსაც IDFI ამ სამინისტროდან (კულტურის და სპორტის სამინისტროს ცალკე გამოყოფამდე) შეუფერხებლად იღებდა წინა წლებში. ანგარიშვალდებულების მექანიზმების ინსტიტუციურ მდგრადობის პრობლემებთან შესაძლებელია დაკავშირება, ზოგიერთი მუნიციპალური ორგანოს მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება. შედეგად, 2021 წელს თვითმმართველი ერთეულების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 10%-ით გაიზარდა.

პიროვნული და მოსალოდნელი პოლიტიკური ცვლილებების ფაქტორის გავლენა ადმინისტრაციული ორგანოს საჯაროობის ხარისხზე ცალსახად მიუთითებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით ქვეყანაში ქმედითი მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე.

2021 წელს, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს ისეთი საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რომლებსაც განსა-

კუთრებული როლი აკისრიათ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ხელშეწყობაში. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელიც პანდემიასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოა, უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა ინფორმირების შეუფერხებელ წყაროს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ასევე კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო მისი საერთაშორისო რეპუტაციის მნიშვნელობის და მათ მიერ ადმინისტრირებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობის გათვალისწინებით, უნდა გამოიჩინოს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით.

ბოლო წლების პრაქტიკა ნათლად აჩვენებს სახელმწიფო შპს-ების და ა(ა)პების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყებები და ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში ასრულებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, განკარგავენ საჯარო ფინანსებს, IDFI-ის მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს ძირითად შემთხვევაში ან უპასუხოდ ტოვებენ ან განმარტავენ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს და მათზე არ ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. ამ მხრივ, შესაძლებელია სტრატეგიული მნიშვნელობის აღმოჩნდეს 2020 წელს IDFI-ს მიერ ა(ა)იპ მედია აკადემიასთან დაწყებული სასამართლო დავა, რომლის ფარგლებში პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებით აღნიშნულ უწყებას დაევალა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021 წელს ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თემატური მოკვლევის დოკუმენტში ასახული IDFI-ის რეკომენდაციების სისრულეში მოყვანა გააჩენს შესაძლებლობას ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის ეფექტიანობისა და მასშტაბის გაზრდის კუთხით.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო



info@idfi.ge



+ 995 32 292 15 14



www.idfi.ge